საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 30 ივლისის **№88** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 30 ივლისის **№88** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის **2015** წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. 2015 წლის 13 ივლისის ხელშეკრულება №66, რომელიც გაფორმდა სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტულ ბიომედიცინის ცენტრსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, ითვალისწინებს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ტენდერში გამარჯვების შედეგად სამედიცინო მოწყობილობის დაბალსიხშირული მაგნიტური ველის სტიმულატორის შექმნას (შემსრულებელი დემურ შავაძე). სტუ-ის ანგარიშზე ჩარიცხულია 6 500 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 6 500 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს შემდეგ მუხლებში: 3 109 ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 2 400 ლარი მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში; ხოლო 991 ლარი – სხვა ხარჯების დღგ-ს მუხლში;

2. სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და ნაერთ ბიუჯეტში კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლიდან 300 ლარი გადატანილ იქნეს საფოსტო მომსახურების ხარჯების მუხლში;

3. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ოფისის ხარჯების შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 5 560 ლარი, ხოლო მივლინების ხარჯებიდან 4 000 ლარი, სულ ჯამში 9 560 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში;

4. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან 1 130 ლარი, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 12 536 ლარი და რეკლამის ხარჯებიდან 1 240 ლარი, სულ ჯამში 14 906 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მუხლში ინტერნეტის ქსელის გაფართოების მიზნით;

5. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის სესიების, კონფერენციების, ყრილობებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯების მუხლიდან 1 767 ლარი გადატანილ იქნეს სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების მუხლში; ასევე სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლიდან 1 950 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში;

ასევე, პროფესორ სეირან მაზმიშვილის საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით, სტუ-ის ანგარიშზე ერთ-ერთმა თანაორგანიზატორმა **GEORGIA BUILDS**-მა გადმორიცხა 340 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სხვა შემოსავლის გრაფა გაიზარდოს 340 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში;

6. სტუ-ის ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების მუხლის ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის პუნქტი შემცირდეს 1 825 ლარით და, შესაბამისად, გაიზარდოს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტი;

7. სტუ-ის საშემოსავლო ნაწილის სხვა შემოსავლის გრაფა გაიზარდოს 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად შემოსული საქველმოქმედო ფულადი შემოწირულობების თანხით, კერძოდ 3 129 ლარით, რომელიც გადაირიცხება ქ. თბილისის მერიის შესაბამის ფონდში – „სტიქიით დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად“.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 30 ივლისის **№88** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 30 ივლისის **№88** სხდომაზე პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარმოადგინა საკითხი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური წოდების – ემერიტუსის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2014 წლის 15 ოქტომბრის ერთობლივი სხდომის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ივლისის დადგენილება №1629.

სენატმა დაადგინა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2014 წლის 15 ოქტომბრის ერთობლივი სხდომის №19 დადგენილებით დამტკიცებულ ემერიტუსის მინიჭების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის ანაზღაურების მიცემის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს აკადემიური საბჭო შემდეგი წესით: უნივერსიტეტის პერსონალისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების მომენტისათვის დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი სარგოს არანაკლებ 50% და არაუმეტეს 60%, ხოლო თუ პირი იმავდროულად არის ან იყო აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრი, რექტორი, ვიცე-რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერი, რექტორის მოადგილე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი (დამხმარე

სტრუქტურული ერთეული), დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე ან აკადემიური დეპარტამენტის უფროსი (კათედრის გამგე) – დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი სარგოს არანაკლებ 70% და არაუმეტეს 80%, ყველა სხვა შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი).

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის **30** ივლისის **№88** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის **30** ივლისის **№88** სხდომაზე სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 30 ივლისის **№88** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 30 ივლისის **№88** სხდომაზე სტუ-ის რექტორის მოადგილემ, პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტექნოლოგიურ ტრანსფერსა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში მართვისა და ტრენინგის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ივნისის დადგენილება №1604.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტექნოლოგიურ ტრანსფერსა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში მართვისა და ტრენინგის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 30 ივლისის №88 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 30 ივლისის **№88** სხდომაზე პროფ. ჯემალ გრიგალაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 15 ივლისის დადგენილება №1617.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 30 ივლისის **№88** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 30 ივლისის **№88** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნებისა და სპორტის ისტორიის ამსახველი კრებულის გამოცემის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ივლისის დადგენილება №1631.

სენატმა დაადგინა: მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი საკითხი და ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ფინანსური შესაძლებლობების გათვალიწინებით მისი უზრუნველყოფა.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე